

სატრანსპორტო ექსპედიციის გაწევის შესახებ

ქ.თბილისი

18.08.2016 წ.

ერთის მხრივ, შპს „ნიუ ფოსტ ინტერნეიშენალ ჯორჯია“ ს/კ 404477507.(შემდგომში - „ექსპედიტორი“), მისი დირექტორის ნიკოლოზ გაბელაიას სახით, რომელიც მოქმედებს მისთვის შპს „ნიუ ფოსტ ინტერნეიშენალ ჯორჯია“ -ას წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მეორეს მხრივ, \_\_\_\_\_ (შემდგომში - „შემკვეთი“), წარმოდგენილი მისი პარტნიორის ----- სახით, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1.**

**ტერმინთა განმარტება.**

- 1.სატრანსპორტო ექსპედიცია - დანიშნულების პუნქტამდე ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებების ორგანიზება, გადაზიდვაში მონაწილე მესამე პირთა შერჩევა და გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა საჭირო თანმხლები მომსახურების გაწევა.
2. ექსპედიტორი - შპს „ნიუ ფოსტ ინტერნეიშენალ ჯორჯია“, რომელიც შემკვეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ახორციელებს სატრანსპორტო ექსპედიციას.
3. შემკვეთი - პირი, რომლის დავალების საფუძველზე ხდება ექსპედიტორის მიერ სატრანსპორტო ექსპედიციის განხორციელება.
4. ტვირთი - გადაზიდვის ცალკეულ მარშრუტთან დაკავშირებული ნებისმიერი ნივთი/ქონება, რომელიც ტვირთმფლობელის მიერ გადამზიდველისათვის მიწოდებულია გადასაზიდად.
5. საფრთხეშემცველი ტვირთი - ტვირთი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საფრთხეშემცველი, ასევე ტვირთი, რომელიც თავისი თვისებების გამო არის ან შეიძლება გახდეს სატრანსპორტო საშუალებების, გადასაზიდა ტვირთის, მოწყობილობების, შენობა-ნაგებობების აფეთქების, დაწვის ან სხვაგვარი დაზიანების, აგრეთვე ადამიანების, ცხოველთა და ფრინველთა სიკვდილის, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ან გარემოს დაზიანება-დაზიანებების მიზეზი.
6. წერილობით - მოიცავს ასევე ტელეგრამას, ტელეფაქსს ან ნებისმიერ ჩანაწერს ელექტრონული სახით, რომელიც იძლევა ადრესატისათვის გზავნილის მიღების დადასტურების საშუალებას.
7. ელექტრონული ხელმოწერა - ელექტრონული ფოსტის მეშვეობით განხორციელებული ხელმოწერა, ან ხელმოწერილი დოკუმენტის დასკანერებული ფორმით მხარეთა შორის ურთიერთგაცვლა ელექტრონული ფოსტის, ტელეფაქსის, ტელეგრამის ან სხვა ელექტრონული საშუალების მეშვეობით.
8. დამატებითი ხარჯები - სატერმინალო, კონტეინერთა სარგებლობის, გადასაზიდა ტვირთების გაცილების, მოცდენის, ჩატვირთვის ადგილის ან/და დანიშნულების ადგილის ცვლილება/დამატების, უცხო ქვეყნის სახელმწიფო უწყებათა მიერ მოთხოვნილ ფინანსურ ან სხვა ტიპის გარანტიებთან დაკავშირებული ხარჯები, ასევე ნებისმიერ სხვა ხარჯი, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით და რომელიც წარმოიშობა სატრანსპორტო ექსპედიციის განხორციელების პროცესში.
9. განაცხადი - ფორმა, რომელშიც მითითებულია სატრანსპორტო ექსპედიციის განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი პირობები (ტვირთის თვისებები, მახასიათებლები, გადაზიდვის ფორმები, ვადები და ა.შ.) და რომელსაც ექსპედიტორისათვის შეკვეთის მისაცემად ავსებს და აფორმებს შემკვეთი.

**მუხლი 2.**

**ხელშეკრულების საგანი**

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, ექსპედიტორი კისრულობს ვალდებულებას, შემკვეთის დავალებით გაუწიოს მას სატრანსპორტო ექსპედიცია და მასთან დაკავშირებული მომსახურება, ხოლო შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ექსპედიტორს შეთანხმებული მომსახურების საზღაური (პროვიზია) და მასთან დაკავშირებული ხარჯები წინამდებარე ხელშეკრულებით და შემკვეთის განაცხადით გათვალისწინებული ოდენობით და წესით.

**2.2.** წინამდებარე მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევა მოხდება ამ ხელშეკრულების, განაცხადში მითითებული დამატებითი პირობების, საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საერთაშორისო აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

### **მუხლი 3.**

#### **მომსახურების საზღაური, დამატებითი ხარჯები, ანგარიშსწორების წესი**

- 3.1.** მომსახურების საზღაური განისაზღვრება ყოველი კონკრეტული მომსახურებისათვის განაცხადში მითითებული ტვირთის მახასიათებლებისა და დამატებითი პირობების მიხედვით.
- 3.2** ანგარიშსწორება ხდება ექსპედიტორის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ამსახველი აქტების საფუძველზე. მომსახურების აქტებს ხელს აწერს როგორც შემკვეთი ასევე ექსპედიტორი.
- 3.3.** შემკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს ექსპედიტორს მის მიერ მომსახურების გაწევის პროცესში გაღებული ან გასაღები ყველა დამატებითი ხარჯი, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და განაცხადით.
- 3.4.** მომსახურების და დამატებითი ხარჯების გადახდა უნდა მოხდეს უნაღლო ანგარიშსწორებით, ექსპედიტორის მიერ წარმოდგენილ შესაბამის ანგარიშში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
- 3.5.** მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით.
- 3.6.** ექსპედიციის ხარჯების ანაზღაურებას ახორციელებს მხარეთა შეთანხმებით, როგორც ტვირთის გამგზავნი, ასევე მისი მიმღები.
- 3.7.** მომსახურების საზღაურის ტარიფები ასახულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### **მუხლი 4.**

#### **მხარეთა ვალდებულებები**

##### **4.1. შემკვეთი ვალდებულია:**

- 4.1.1.** ექსპედიტორისათვის შეკვეთის მისაცემად გააფორმოს განაცხადი მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმით; აღნიშნული განაცხადის გასაფორმებლად და მომსახურების ჯეროვნად გასაწევად დროულად მიაწოდოს ექსპედიტორს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია. გარდა ამისა, შემკვეთმა უნდა გადასცეს აუცილებელი დოკუმენტაცია აღნიშნული ცნობების უტყუარობის დასადასტურებლად.
- 4.1.2.** საფრთხეშემცველი ტვირთის არსებობისას გააფრთხილოს ექსპედიტორი საფრთხის ზუსტი სახეობის შესახებ და, აუცილებლობის შემთხვევაში, მიუთითოს მას უსაფრთხოების ზომებზე. ტვირთი, რომლის საფრთხეშემცველობის შესახებ არ იცოდა ექსპედიტორმა, შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას გადმოიტვირთოს, განადგურდეს ან გაუუვნებლდეს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაუკისრებლად.
- 4.1.3.** უზრუნველყოს ტვირთის დროული ჩაბარება ჩატვირთვის ადგილზე, ასევე ტვირთის მარკირება და შეფუთვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- 4.1.4.** მარკირება განახორციელოს იმგვარად, რომ აღნიშვნები გარკვევით ჩანდეს ტვირთის მიტანამდე, რათა ხელი შეუწყოს ტვირთის სათანადო დამუშავებას. ძველი აღნიშვნები უნდა მოშორდეს ან სხვაგვარად აშკარა გახდეს მათი მოქმედების ვადის გასვლა.
- 4.1.5.** შეამოწმოს არის თუ არა გადამზიდველისთვის მიწოდებული საბუთები და ინფორმაცია სწორი და საკმარისი.
- 4.1.6.** შეასრულოს ექსპორტიორი/იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ტვირთის საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.
- 4.1.7.** ექსპედიტორის მიერ დათქმულ დროში დაფაროს შემკვეთის მიერ განაცხადში მოთხოვნილი ცვლილებებით ან/და მისი მითითებების შესრულებით გამოწვეული ყველა ხარჯი, ასევე სატრანსპორტო ექსპედიციის პროცესში წარმოშობილი ნებისმიერი დამატებითი ხარჯი.
- 4.1.8.** დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია ტვირთთან, ჩვეულებრივ მოთხოვნებთან, საბაჟო ვალდებულებებთან, საგადასახადო ვალდებულებებთან და სხვა, რომლებიც

ექსპედიტორს წაეყენება როგორც აგენტს ან მესამე პირის საკუთრებაში არსებული ტვირთის მფლობელს და რომლის გადახდის ვალდებულება ექსპედიტორს არ ეკისრება.

**4.1.9.** იზრუნოს მოსალოდნელი ან დამდგარი ზიანის ექსპედიტორისათვის დროულად შეტყობინებაზე.

**4.1.10.** ანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც ექსპედიტორს მიადგება წინამდებარე მუხლის 4.1. პუნქტით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო.

**4.1.11.** აუნაზღაუროს ექსპედიტორს ტვირთის დაზრუნების ხარჯები, იმ შემთხვევაში თუ ტვირთის მიმღები უარს აცხადებს მისთვის განკუთვნილი ტვირთის მიღებაზე, ან თუ ტვირთის მიტანა შეუძლებელია ექსპედიტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზით.

**4.1.12.** შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

## **4.2. ექსპედიტორი ვალდებულია:**

**4.2.1.** მხარეთა მიერ გადაზიდვის განაცხადით შეთანხმებული პირობების შესაბამისად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

**4.2.2.** კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით შეარჩიოს გადაზიდვაში მონაწილე პირები და სატრანსპორტო საშუალება, გადასაზიდი ტვირთის მახასიათებლების გათვალისწინებით.

**4.2.3.** მომსახურების გაწევის პროცესში დაბრკოლების ან გაუთვალისწინებელი სიტუაციის წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს განაცხადში მითითებული პირობებიდან გადახვევას, შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ შემკვეთს და დაელოდოს მის მითითებებს. თუ მითითების მიღება ვერ ხერხდება ან დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანის მიყენების საფრთხე, ექსპედიტორი უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც მის მიერ მიჩნეული იქნება ყველაზე ხელსაყრელად.

**4.2.4.** მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განახორციელოს სხვადასხვა დამატებითი დავალებები, რომლებიც დაკავშირებული იქნება შემკვეთის ტვირთის სატრანსპორტო მომსახურებასთან, რაც დამატებით ანაზღაურდება შემკვეთის მიერ.

**4.2.5.** შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

## **მუხლი 5.**

### **შემკვეთის გაფორმება**

**5.1.** შემკვეთის მიერ ექსპედიტორისათვის მომსახურების შეკვეთა ხორციელდება მხარეთა მიერ შესაბამისი წერილობითი განაცხადის გაფორმებით, რომელიც გაფორმების მომენტიდან წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

**5.2.** ექსპედიტორი უფლებამოსილია შემკვეთს მომსახურება გაუწიოს უშუალოდ, ჩართოს ან საჭიროების შემთხვევაში გადაანდოს მომსახურების გაწევა მესამე პირებს.

## **მუხლი 6.**

### **მხარეთა პასუხისმგებლობა**

**6.1.** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვან შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

**6.2.** მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვან შესრულების შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ქვეშ, როგორც არის წყალდიდობა, ხანძარი, აფეთქებები, ავარია, სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ ხელშეკრულების პირობებს, მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა გარემოებები, რომლებიც წარმოიშვა მხარეთაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რომელთა თავიდან აცილება და გადალახვა მხარეებს არ შეეძლოთ და თუ ეს გარემოებები ხელს უშლიან მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას. მხარეს, რომელსაც წარმოექმნება დაბრკოლებები საკუთარ ვალდებულებათა შესრულებისას, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ, მისი დასრულების სავარაუდო თარიღის მითითებით.

6.3. ექსპედიტორი მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი მიყენებულია ექსპედიტორის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

6.4. თუ ტვირთის დაკარგვა ან მთლიანი დაზიანება გამოწვეულია ექსპედიტორის ბრალეულობით, შემკვეთს უბრუნდება ტვირთის გაცხადებული ღირებულება (მაგრამ არა უმეტეს მისი ფაქტობრივი ღირებულების) და გადახდილი მომსახურების საზღაური.

6.5. ტვირთის ნაწილობრივ დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში (რომელიც გამოწვეულია ექსპედიტორის ბრალეულობით), შემკვეთს უბრუნდება ტვირთის დაზიანებული/დაკარგული ნაწილის ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 65 ლარისა. შემკვეთის მიერ დამატებით, ტვირთის დაზღვევისა და გაცხადებული ღირებულების 0.5% გადახდის შემთხვევაში, მას უბრუნდება დაზიანებული/დაკარგული ნაწილის სრული ღირებულება.

6.6. შემკვეთი პასუხისმგებელია მის მიერ მიწოდებული ტვირთის თანმხლები დოკუმენტების ნამდვილობასა და სისწორეზე.

6.7. შემკვეთს ეკისრება პასუხისმგებლობა მისი მიზეზით ტვირთის ნებისმიერი ფორმით მოცდენისათვის.

## 6.6. ექსპედიტორი დამკვეთის წინაშე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს ზიანი გამოწვეულია:

ა) სახელმწიფო ორგანოთა, სახელმწიფო თანამდებობის პირთა და/ან საჯარო მოხელეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებით, რაც დაკავშირებულია მათ სამსახურებრივ მოვალეობების შესრულებასთან;

ბ) განაცხადში მითითებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

გ) შემკვეთის ან დაზარალებულის განზრახვი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით ან შემკვეთის მიერ ექსპედიტორისათვის ისეთი მითითების გაცემით, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან – ზიანის მიყენებასთან.

დ) ზიანი, რომელიც დადგა შემკვეთის მიერ ექსპედიტორისათვის არასწორი მონაცემების მიწოდებით ტვირთის შესახებ, ასევე ნებისმიერი არასწორი ინფორმაციის მიწოდებით იმ გარემოებათა შესახებ, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ექსპედიტორის მიერ მომსახურების ჯეროვნად შესრულებისათვის ან თუ შემკვეთმა დადგინდა ვადაში არ მიაწოდა ექსპედიტორს აღნიშნული გარემოებების ცვლილების შესახებ ინფორმაცია. ასევე ექსპედიტორი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან შემკვეთის მიერ გადამზიდველისთვის მიწოდებული მონაცემებისა და ინფორმაციის უზუსტობის ან არასაკმარისობის შედეგად გამოწვეული ზიანზე.

ე) კონტრაბანდული ტვირთის გადაზიდვისას მომხდარი შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანი;

ვ) ტვირთების არასათანადო შეფუთვითა ან/და მათი დაზიანებულ მდგომარეობაში გაგზავნით, ასევე ტვირთის შეუსაბამო განლაგებითა ან/და დამაგრების შედეგად გამოწვეული ზიანი;

ზ) ნებისმიერი მოთხოვნები იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც მიყენებულია სამხედრო ქმედებების, მანაწვრების ან სხვა სამხედრო ღონისძიებების, სამოქალაქოომის, სხვა დასხვა სახის სახალხო მღელვარებისა და გაფიცვების, შეიარაღებული დაჯგუფებებისა და ტერორისტული ქმედებების, აგრეთვე, სხვა დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად;

თ) ბირთვული აფეთქების, რადიაციის ან რადიოაქტიური მოწამვლის ზემოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი;

ი) ტვირთის ბუნებრივი თვისებების (ქიმიური ცვლილებები, შინაგანი ცვლილებები, გაშრობა, თვისების დაკარგვა ა.შ.) ცვლილებით, რომლის მიზეზიცაა ტემპერატურის, ჰაერის, ჭიების, სხვადასხვა ცხოველებისა და მწერების ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ტვირთის ფუნქციონალურ ცვლილებებთან;

კ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომლის თავიდან აცილება შემკვეთის მიერ შესაძლებელი იყო, მაგრამ მან დროულად ან საერთოდ არ მიიღო ყველა შესაძლებელი და სათანადო ზომა რისკის შემცირების ან თავიდან აცილებისათვის ან თუ მან ჩაიდინა განზრახვი ქმედება ზარალის სიდიდის გასაზრდელად.

მ) თუ ზიანი გამოწვეულია ჰაერის ტენიანობის, ტრიუმის ჰაერის გავლენით; ტვირთის განსაკუთრებული თვისებით, მისი სამომხმარებლო ხარისხის, მასის, მოცულობის ბუნებრივი ცვლილებით;

ნ) თუ ზიანი გამოწვეულია სატრანსპორტო საშუალებით გადასატან ტვირთთან ერთად სხვა ტვირთის გადაზიდვით, რომელიც ცნობილია შემკვეთის ან/და გადამზიდველისათვის, მაგრამ ამის შესახებ არ უცნობებიათ ექსპედიტორისათვის.

ო) ტვირთის დანაკლისით, როდესაც გარეგანი შეფუთვა და ლუქი დაუზიანებელია; ტვირთის და ზიანება ჭიებით, მღრღნელებითა და მწერებით;

პ) შემკვეთის მიერ ტვირთის გადაჭარბებული ოდენობით მიწოდების გამო.

## **მუხლი 7.**

### **გირავნობა**

- 7.1. ექსპედიტორი სარგებლობს გირავნობის უფლებით მის მფლობელობაში არსებულ ტვირთზე, ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად გაწეულ ნებისმიერ მომსახურებასთან დაკავშირებით ექსპედიტორის წინაშე არსებული დავალიანების ფარგლებში.
- 7.2. ექსპედიტორი უფლებამოსილია გამოიყენოს გირავნობის უფლება შემკვეთთან დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.
- 7.3. გირავნობის უფლება არ შეიძლება გასცდეს გირავნობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს.

## **მუხლი 8.**

### **ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა**

- 8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 1 წლის ვადით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
- 8.2. მხარეები აცხადებენ თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების, განაცხადისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიწოდება, მიღების დადასტურება, გაფორმება და ურთიერთგაცვლა შესაძლებელია მოხდეს ელექტრონული საშუალებით ელექტრონული ხელმოწერის ფორმით. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ადასტურებენ ელექტრონული ხელმოწერის ფორმით დადებული ხელშეკრულების ნამდვილობას და გამორიცხავენ ნებისმიერ ეჭვს მასთან დაკავშირებით.
- 8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს ერთი მხარის მიერ მეორესათვის შეწყვეტამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
- 8.4. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან სრულად შეასრულონ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებები.

## **მუხლი 9.**

### **სხვა პირობები**

- 9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შესრულებულად, ხოლო ტვირთი გადაცემულად ითვლება შემკვეთის ან მისი წარმომადგენლის მიერ სამუშაოს შესრულების აქტზე ან შესაბამის სატრანსპორტო დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ.
- 9.2. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთმორალაპარაკების გზით.
- 9.3. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის გადასაცემად.
- 9.5. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 9.6. ხელშეკრულების რომელიმე პირობის ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობების ბათილობას.
- 9.7. მხარეები ვალდებული არიან წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეტყობინებების, მითითებების და დოკუმენტების მიწოდება განახორციელონ წერილობითი შეტყობინების, ელექტრონული ფოსტის, ფაქსის ან ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყენებით, რომელიც იძლევა ადრესატისათვის გზავნილის მიღების დადასტურების საშუალებას. თუ აღნიშნული ფორმით ვერ ხერხდება ან გვიანდება შეტყობინება, მხარე უფლებამოსილია შეტყობინება გააკეთოს ზეპირი/სატელეფონო შეტყობინების სახით, რაც შემდგომ უნდა დადასტურდეს წერილობითი შეტყობინებით.

მუხლი 10.  
მხარეთა რეკვიზიტები

„ექსპედიტორი“

შპს „ნიუ ფოსტ ინტერნეიშენალ ჯორჯია“

ს/კ 404477507

იურიდიული მის: თბილისი, პეტრიაშვილის 10

ფაქტიური მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის 27ბ

ტელ: +995 579799933

საბანკო რეკვიზიტები:

საქართველოს ბანკი

ლარი - GE89BG0000000850683000GEL

შემკვეთი“

ს/კ

იურიდიული მის:

ფაქტიური მის:

ტელ:

ელ-ფოსტა:

საბანკო რეკვიზიტები:

ნიკოლოზ გაბელაია

ხელმოწერა: